თქვენი მ/წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება #53811300-ის მე-3 ხარვეზთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ:

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ოქტომბრის დადგენილება N732-ის ,,ტექნიკური რეგლამენტი- მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ მოქმედება არ ვრცელდება იმ IV კლასის ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

კერძოდ, ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის შესაბამისად ეს დადგენილება ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა კლასის შენობა-ნაგებობაზე. **გარდა ამავე მუხლის ,,ბ'' პუნქტით გათვალისინებული შემთხვევებისა.**

,, იმ II, III, IV და V კლასის ობიექტებისა, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ამოქმედებამდე შეთანხმებულია პროექტი ან წარდგენილია განაცხადი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე ან/და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული“.

განცხადება AR1814965 (ნომენკლატურა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი/IV კლასი/შეთანხმებული პროექტის ცვლილება/პროექტის შეთანხმება/მშენებლობის ნებართვა) წარდგენილია 31.03.2021 წელს, თუმცა მშნებლობის ნებართვა აღნიშნულ პროექტზე გაცემულია 09/02/2021 წელს (ბრძანების #5282719)

აღნიშნული დადგენილება ,,ტექნიკური რეგლამენტი- მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“ **ამოქმედდა 2021 წლის 1-ლ მარტს,** შესაბამისად მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის შესაბამისად დამუშავებული დოკუმენტაციის წარდგენა არ არის სავალდებულო, გამომდინარე იქიდან, რომ ახალი რეგულაციები არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემულ მშენებლობის ნებართვებზე.

შესაბამისად ეს დადგენილება ამ კონკრეტულ შემეთხვევაზე არ უნდა გავრცელეს

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეითანხმოთ პროექტი.